საპროექტო ობიექტის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი, სობჩაკის ქ. №3/3



ხედი მთაწმინდიდან, 2014წ

შემსრულებელი:

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი,

შ პ ს
„ძველი უბანი“
აგვისტო
2014

1. მდებარეობა

საპროექტო ობიექტები მდებარეობს თბილისის ისტორიული ნაწილის უბან გარეთუბანში **სობჩაკის ქ. №3 / თაბუკაშვილის ქ. №3 (ძველი თბილისის გამგეობა).** აქ დგას ორი სამსართულიანი და ერთი ორსართულიანი ნაგებობა. ძირითადი ნაგებობა მთავარი ფასადით მიმართულია **სობჩაკის ქუჩისკენ და** გამოდის **თბუკაშვილის ქუჩაზეც.** აქვს შიდა ეზოც. პროექტით გათვალისწინებულია დაშენება ან ზოგი ნაგებობის ნაცვლად ახალი მოცულობების აგება.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)



საპროექტო ტერიტორიაზე აღრიცხულია ორი არქიტექტურული ძეგლი №1/3, №3/3 და ორი უსტატუსო ნაგებობა №3 და №3.

არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია ასევე ნაგებობები ირგვლივ და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს:

საცხოვრებელი სახლები – თაბუკაშვილის ქ. №№1,5,14..;

საცხოვრებელი სახლები – ფხოვის ქ. №1/5, 1;

დანარჩენი არქიტექტურული ძეგლები არ განიხილებიან საპროექტო ობიექტის ხედვით თვალსაწიერზე.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის" მიერ, 2007 წ



თბილისის აეროფოტო, 2006წ (ფრაგმენტი)



შენი საპროექტო ობიექტის ირგვლივ, ხედი მთაწმინდიდან, 2009წ

უბნის ისტორიულ-არქიტექტურული განვითარება

XIX საუკუნემდე ეს ადგილი თბილისის გარეუბანი იყო და ასევე იწოდებოდა – **„გარეთუბანი“.** გარეთუბანს ტფილისის გალავნისგან გამოჰყოფდა სალალაკის ხევი (ავანაანთ ხევი), რომელიც მომავალი დადიანისა და პუშკინის ქუჩის მიმართულებით მიუყვებოდა ქალაქის გალავანს და უერთდებოდა მტკვარს. XIX ს-ის I ნახევარში მოანგრიეს გალავნის კედელი. დადიანის ქუჩის ზემოთ სოლოლაკი განვითარდა, ზემო კალას მიღმა კი პუშკინის ქუჩისკენ – გარეთუბანი.

თბილისის გეგმა 1800-იანი წწ.



თბილისის გეგმა 1809წ.



თბილისის 1800 წლის გეგმის მიხედვით იმ ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად **რუსთაველის გამზირი და თაბუკაშვილის ქ.** მდებარეობს, განაშენიანება არ ჩანს, რაც ლეკიანობამ და 1795 წლის დარბევამ გამოიწვია. 1809 წლის თბილისის გეგმაზე უკვე იკითხება რეგულარული ქუჩების ქსელის ჩანასახი, რომელთა შორის **თაბუკაშვილის ქუჩაც** იკვეთება. იქვე აგურის ქარხნებია აღნიშნული.

1833-35 წლებში ქალაქის მიწისმზომელ ტოვარნიცკის მიერ შემუშავდა გარეთუბნის განაშენიანების გეგმა, რომლის მიხედვითაც გოლოვინის პროსპექტი - ქალაქის ისტორიული გზა – ამ განაშენიანების მთავარ ღერძად იქცა. 1840-იანი წლებიდან დაიწყო განაშენიანების სწრაფი განვითარება მთელ გარეთუბანში



1831 წ



1844 წ

თაბუკაშვილის ქუჩა დაიგეგმა XIX ს-ის I ნახევარში. თავდაპირველად ქუჩა ორ ნაწილად იყოფოდა. პირველ მონაკვეთს ქაშუეთის ბაღამდე ბაზრის ქუჩა ეწოდებოდა, მეორე მონაკვეთს კი მესანგრეთა ქუჩა. შემდეგ ეს ქუჩები გაერთიანდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეწოდა ძნელაძის, შემდეგ იოანე პტრიწის (1990წ) ბოლოს კი თაბუკაშვილის ქუჩა (1992წ.). XIX ს-ის შუა ხანებში ქაშუეთის ეკლესიის აღმოსავლეთით, ქვედა ტერასაზე არქიტექტორმა ოტო სიმონსონმა დააპროექტა ალექსანდროვის ბაღი. მესანგრეთა ქუჩამ უკვე ჩამოყალიბებული სახე მიიღო და დასრულდა მისი განაშენიანება. **1844 წ. რუკაზე იქ სადაც ადრე აგურის ქარხნები იყო, უკვე აღნიშნულია სახაზინო პალატის მცირე შენობა საპროექტო ადგილზე.**



XX ს-ის დასაწყისის ფოტო.



აეროფოტო, 1920-იანი წწ

XX ს-ის დასაწყისში დასრულდა ამ უბნის ურბანული სახით ჩამოყალიბება. XXს-ის პირველ მეოთხედში უბნის განაშენიანება ძირითადად აღარ შეცვლილა, თუმცა იცვლებოდა სახლების გაბარიტები და გარეგანი სახე – ხის კიდულ აივნებიან პატარა სახლების ადგილს იკავებს ორ-სამსართულიანი ეკლექტიკურ ფასადებიანი სახლები. ამავე დროს აშენდა სახაზინო პალატის ახალი შენობა.

თბილისის საკადასტრო გეგმები:





საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდი ©

1885წ. 1897წ.

№231 სახაზინო პალატა **№222 სახაზინო პალატა**

როგორც საკადასტრო გეგმებიდან ჩანს ნაკვეთი დღევანდელი №3/3 სახლის ადგილას 1885 წელს ეკუთვნოდა სახაზინო პალატას, 1897 წელსაც ნაკვეთი კვლავ სახაზინო პალატის მფლობელობაშია.



ხედი ხაზინის ქუჩიდან, 1900-იანი წწ. თბილისის მუზეუმის არქივის ფონდი ©

ამგვარად საარქივო ფოტოებისა და საქმეების ანალიზით გაირკვა, რომ სახლი №3-ის ადგილზე XIX ს-ის შუა ხანებში იდგა სახაზინო პალატის მცირე შენობა რომელიც შემდეგ რამდენჯერმე გადაკეთდა და საბოლო სახე მიიღო XXს-ის I ნახევარში.



1920-იანი წწ. აეროფოტოები



ხედი მთაწმინდიდან, 2009წ.

ზედა ფოტოზე კარგად ჩანს, რომ სახლი ორსართულიანია, ორსართულიანია ასევე მინაშენები კვარტალის სიღრმისკენ.

ნაგებობა რამდენჯერმე უნდა იყოს გადაკეთებული. თავდაპირველად აქ უნდა მდგარიყო სახაზინო პალატის დღევანდელთან შედარებით მომცრო ნაგებობა, როგორც ეს ჩანს XIX ს-ის შუა პერიოდის გეგმებზე, შემდეგ XIX ს-ის ბოლო მეოთხედში ამ მომცრო ნაგებობის ნაცვლად და შესაძლოა მისი საძირკვლისა და საყრდენი კედლების გამოყენებით, აქ აშენდა მოზრდილი ორსართულიანი შენობა. XX ს-ის მეორე მეოთხედში კი დააშენეს III სართული და მთლიანად გადააკეთეს მთავარი ფასადი სობჩაკის ქუჩიდან. ორსართულიანი ფასადი წარმოადგენდა მარცხენა და მარჯვენა ფლანგებზე განსხვავებულად გაწყობილ, მარტივი პარაპეტით დასრულებულ კლასიცისტურ სრუქტურას, ცოკოლის გარეშე. მარცხენა ფლანგზე, ორთავე სართულზე რუსტირებული სიბრტყე იყო მრუდწრეთარგიანი სარკმლების რიგებით. მარჯვენა ფლანგის მეორე სართულზე კი თაღოვანი სარკმლებით აქცენტირებული მონაკვეთი. დაშენების დროს მოხდა მთელი ფასადის ხელახლა გააზრება და გადაკეთება. ამჟამად ზემოთ მთელ სიგრძეზე საფეხუროვანი ლავგარდანია და საკმაოდ მაღალი პარაპეტი.

საპროექტო ტერიტორია და საკვლევი ობიექტები



საპროექტო ტერიტორიაზე რამდენიმე ნაგებობა დგას. ყველაზე მოზრდილია სობჩაკის ქუჩის პერიმეტრზე გრძივი ფასადით მდგომი ნაგებობა №3/3. იგი სამსართულიანია და დასავლეთი მოკლე ფასადით გადის თაბუკაშვილის ქუჩაზე. მის უკან პერპენდიკულარაულად დგას L-ის ფორმის სამსართულიანი ნაგებობა. ამ სახლის მარცხნივ კი ორსართულიანი ფლიგელია.

ძირითადი ნაგებობის კედლები აგებულია აგურით. მთავარი ფასადი შელესილია და დაფერილია ღია ნაცრისფრად. სახურავს აქვს ორქანობიანი გადახურვა ხის ნივნივებიანი სხვენით. ხის კონსტრუქციები დაბურულია თუნუქით. უკანა, ეზოს მხარეს პირველი სართული ერთი მესამედით მთლიანად გრუნტშია მოქცეული. L-ის ფორმის ჩანაშენით ეზო ორ ნაწილად არის გაყოფილი.



საპროექტო ნაგებობა, №3 სობჩაკის ქუჩიდან, 2014წ.

ნაგებობის მთავარი ფასადზე თითქმის მთლიანად არის შემორჩენილი თავდაპირველი შენობის ღიობები, თუმცა ღიობების და საფასადო მორთულობის სისტემა მთლიანად განახლებულია და ერთიან მხატვრულ ქარგზეა აწყობილი. ეს არის ფსევდოკლასიცისტური ტიპის, სტალინური არქიტექტურის საფასადო სტრუქტურა. სართულებს მიუყვება სარკმლების რიგები, რომლებიც ზედა ორ სართულზე კანელურებიანი და თარო კაპიტელებიანი თხელი პილასტრებით არის დაყოფილი. ზევით კი სრულდება მძლავრი, სოფიტური ლავგარდანითა და პარაპეტით. სარკმლები მოჩარჩოებულია ნალესი ლილვებით და შეკრულია საჭექი ქვებით. ძირითადად მართკუთხა სარკმლებია. მარჯვენა ფლანგზე კი მეორე სართულზე ხუთი თაღოვანი სარკმელია. რაფებს ქვევით ნალესი რიკულებია. მესამე სართულის შუაში კი, ქვის კიდული აივანია ასეთივე რიკულებით. პირველი სართული იმიტირებულია რუსტირებით. მეორე და მესამე მხოლოდ გალესილია და დაფერილი. სადარბაზო და კიბის უჯრედი განთავსებულია მარცხენა ფლანგზე. მოგვიანებით სადარბაზოს წინ შეწყვილებულ მრგვალ სვეტებიანი სტილიზებული შესასვლელი მოეწყო. ეზოში შევდივართ მარჯვენა ფლანგის I სართულში დატანილი გვირაბიდან, ასევე შენობის აღმოსავლეთ მოკლე გვერდიდან.



საპროექტო ნაგებობა, №3 თაბუკაშვილის ქუჩიდან, 2014წ.

განსხვავებულია ნაგებობის მოკლე ფასადი თაბუკაშვილის ქუჩიდან. ესეც ფსევდოკლასიცისტური სიმეტრიული ორსართულიანი სტრუქტურაა, რუსტირებული სიბრტყით, ცენტრში აქცენტირებული ბალუსტრადიანი პარაპეტით და ნახევარსვეტებიანი თაღედით II სართულზე. II სართულის ფლანგებზე შეწყვილებული მართკუთხა სარკმლებია, I სართულზე კი მკაცრი რუსტირება, შუაში პილასტრებით ფლანკირებული შესასვლელია მოწყობილი.



ნაგებობის მოკლე გვერდი, 2014წ.



ეზოს ფასადი, 2014წ

ნაგებობის აღმოსავლეთი მოკლე გვერდი აგურის წყობისაა და სრულიად გაუფორმებელია. აქ კარგად ჩანს III სართულის დაშენების კვალი.

ეზოს სადა ფასადი ფლანგებზე წინ არის წამოწეული. მართკუთხა სარკმლები მოჩარჩოების გარეშეა და ერთადერთი არქიტექტურული აქცენტი – დაბალი საფეხუროვანი პარაპეტია. თავდაპირველი ნაგებობის „ქართული აგურის“ წყობის მრუდე თაღები ამჟამადაც ჩანს ეზოს ფასადის მხარეს პირველ სართულზე.





ფასადი სოზჩაკის ქუჩიდან, 2014წ.





ფასადი თაბუკაშვილის ქუჩიდან, 2014წ.



ორსართულიანი ფლიგელი, 2014წ.



სამსართულიანი მიშენება, 2014წ



ნაგებობები თაბუკაშვილის ქუჩიდან, 2014წ

ეზოში თავდაპირველად, ძირითად ნაგებობაზე გადაუბმელად აშენდა L-ის ფორმის ორსართულიანი სახლი, რომელზეც აღმოსავლეთიდან მიადგეს აგურის შეულესავი წყობის ორსართულიანივე ფლიგელი. მოგვიანებით L-ის ფორმის ორსართულიან სახლის მთელ პერიმეტრზე III სართული დააშენეს. აღმოსავლეთის ფლიგელი კი ხელუხლებელი დარჩა. სამსართულიანი ნაგებობის ფასადები განსხვავებულია. დასავლეთ ეზოში კედელი თარო კაპიტელებიანი პილასტრებით არის გაფორმებული და II სართული რუსტირებულია. აღმოსავლეთ ეზოში კი კედელი მხოლოდ შელესილია. II სართულზე ჩანს „ქართული“ აგურის მკვიდრი წყობა და სარკმლების მრუწრეთარგა ზედაბებიც აგურით არის გადაყვანილი. აქვს თუნუქის საბურავიანი ოთხქანობიანი გადახურვა.

ეს სამსართულიანი ფლიგელი რელიეფის განსხვავებულობის გამო თაბუკაშვილის ქუჩისკენ გამოდის მოკლე ფასადის ორი სართულით. ფასადი მთლიანად არის შელესილი და შუაზეა გაყოფილი პროფილირებული ლავგარდანით. I სართულზე დატანილია მარტივი ტიპის მცირე მართკუთხა შესასვლელი.

ორსართულიანი ფლიგელის წინ ეზოში ჩადგმულია ერთსართულიანი ავტოფარეხები. სახლი „რუსული აგურის“ შეულესავი წყობისაა. სართულები გაყოფილია აგურის წყობის თარო ლავგარდანით, სიმაღლეზე კი დაყოფილია აგურის წყობისავე პილასტრებით. სარკმლები შემკულია აგურის წყობის შვერილი თავსართებით. ნაგებობა დასრულებულია აგურის წყობისავე კბილანებიანი კაპიტელით. გადახურულია თუნუქის ფურცლებიანი ცალქანობიანი საბურავით.

თავდაპირველი გეგმარება – ძირითადი ნაგებობის ზოგადი გეგმარება დღესაც იგივეა. მხოლოდ რამდენჯერმე შეიცვალა შიდა გეგმარება დამატებული ან მოხსნილი ტიხრებით. თავდაპირველად ეს იყო, П-ს ფორმის (მცირე წანაზარდებით ეზოს ფასადისკენ) წაგრძელებული ორსართულიანი ნაგებობა (თაბუკაშვილის ქუჩისკენ გადიოდა ერთი სართულით), მარცხენა ფლანგზე სადარბაზოსა და კიბის უჯრედის, ხოლო მარჯვენაზე ეზოში გასასვლელი გვირაბით. ორთავე სართული ეკავა ორ-რიგად ჩამწკრივებულ ოთახებს. თუმცა ეს იყო საუწყებო ნაგებობისთვის დამახასიათებელი გეგმარება. II სართულზე კიბის უჯრედის გვერდით დიდი დარბაზით და იგივე ზომის დარბაზით ეზოში შესასვლელ გვირაბის თავზე. ეზოში მდებარე ნაგებობების გეგმაც თავდაპირველია და დიდად არ შეცვლილა. აქ კიბის თითო უჯრედი იყო მოწყობილი ეზოს ფლიგელების ფლანგებზე. ეს ნაგებობებიც საუწყებო ფუნქციისა იყო შესაბამისი გეგმარებით. გადაკეთებების გამო თავდაპირველი ფუნქციური გეგმარების ზუსტად დადგენა ძნელია.

სამშენებლო ფენები – არსებობს რამდენიმე სამშენებლო ფენა.

თავდაპირველი – აიგო, როგორც სახაზინო პალატა;

I. XIX ს-ის II მეოთხედი – სობჩაკის ქუჩაზე გამომავალი ნაგებობის საძირკველი და შესაძლოა საყრდენი კედლების ნაწილი;

შემდეგი – სახაზინო პალატა; სამხედრო კომენდატურა; ბანკი;

II. XIX ს-ის ბოლო მესამედი – სობჩაკის ქუჩაზე გამომავალი ნაგებობის დაგრძელებული ორსართულიანი ნაწილი; ეზოს სამხრეთი ორსართულიანი L–ის ფორმის ნაგებობა; ორსართულიანი ფლიგელი აგურის შეულესავი წყობით;

III. XX ს-ის II მეოთხედი – III სართულის დაშენება სობჩაკის ქუჩაზე გამომავალ ძირითად ნაგებობაზე და ქვედა ორი სართულის ფასადის გადაკეთება;

III. XX ს-ის ბოლო მესამედი – III სართულის დაშენება ეზოში მდებარე L–ის ფორმის ნაგებობაზე; გეგმარებითი ცვლილებები, კიბის უჯრედის დამატება ძირითად ნაგებობასა და ეზოში მდგომ შენობას შორის. კიბის უჯრედის დამატება ამავე შენობის სამხრეთ ფლიგელში;

ამჟამინდელი – კერძო მფლობელობაშია. განსაზღვრულია რეკონსტრუქცია სასტუმროდ;

IV. XXI ს-ის დასაწყისი – საფასადე ცვლილებები და რემონტი ინტერიერში.

ორიენტაცია – სამხრეთ-დასავლეთ ჩრდილო-აღმოსავლეთის გრძივი მიმართულება;

რელიეფი – გარეთუბნის ფერდობი დაქანებულია ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ. აქ თაბუკაშვილის ქუჩასა და სობჩაკის ქუჩას შორის თითქმის ოთხი მეტრი სიმაღლის სხვაობაა. თუმცა საკვლევი ნაგებობა თანაბარდონიან სიბრტყეზეა აგებული.

ეზო – ნაგებობას ჰქონდა მართკუთხა შიდა ეზო, რომელიც მისდამი პერპენდიკულარულად მიმართული შენობის ჩადგმის შემდეგ ორ თანაბარ ნაწილად გაიყო. ამგვარად ეზო ჩრდილოეთიდან შემოფარგლულია ძირითადი ნაგებობით, სამხრეთიდან კი – ფლიგელებით. ეზოში შესასვლელი გვირაბის კარს წარმოადგენს სობჩაკის ქუჩისკენ მოწყობილი ჭიშკარი.

სართულიანობა – ქუჩების სხვადასხვა დონის გამო ნაგებობა განსხვავებული სართულიანობისაა. თაბუკაშვილის ქუჩის მხარეს გამოდის მხოლოდ ორი სრული სართულით. სობჩაკის ქუჩის მხრიდან კი სამივე სართულით. სამსართულიანია სახლი ეზოს მხრიდანაც, ოღონდ ძირითადი ნაგებობის ქვედა სართული ოდნავ მიწაშია ჩამჯდარი. ზედა ორი სართულის სიმღლე თანაბარია – 4. 80მ. პირველი სართული მათზე დაბალია – 3. 70მ;

ინტერიერი:

გეგმარებითი სტრუქტურა – სისტემა ყველა სართულზე მსგავსია. ორ-რიგად ჩამწკრივებული სხვადასხვა ზომის ოთახები. მართკუთხა შესასვლელებით.



I სართულის გეგმა



II სართულის გეგმა



III სართულის გეგმა



III სართულის შიდა დერეფნები





მინაშენის III სართულის შუა დერეფანი



კიბის უჯრედი



I სართული ადაპტირებული



თავდაპირველი სახე

გაფორმება –

ინტერიერის თავდაპირველი შემკულობა თითქმის არ შემორჩენილა. I, II და III სართულის ინტერიერის იატაკი, კედლები და ჭერი კი მთლიანად არის დაფარული გვიანი რემონტების დროს მოწყობილი ხის, პლასტიკატის და სხვა ხელოვნური მასალის ფილებით, შესაძლოა მორთული ყოფილიყო სადარბაზო და ცენტრალური კიბის უჯრედი, თუმცა მისი ინტერიერი სამწუხაროდ მთლიანად ხელახლაა მოპირკეთებული ფილებით. ამჟამად ინტერიერის თავდაპირველი სახე შემორჩენილია მხოლოდ II სართულის ნაწილში – ჭერის ნალესი ლავგარდანები.

ფასადები:

დეკორაციული კვეთილობა – საფასადო მორთულობისთვის გამოყენებულია კარგი ხარისხის პროფილირებული ბათქაში.



II სართულის სარკმლები



თაბუკაშვილის ქუჩიდან

სარკმლები – I და II სართულის სარკმლების წირთხლები ფართოვდება ინტერიერისკენ, ხოლო დაშენებული III სართულისა კი, მართია. საფასადო სარკმლები მართკუთხაა და ნალესი ჩარჩოებით არის შეკრული, გარდა II სართულის სამი თაღოვანი სარკმლისა. სარკმლები საჭექი ქვებით არის მორთული. ეზოს ფასადებისკენ სარკმლები მარტივი ტიპის სასინათლო ღიობებია. სტრუქტურული თვალსაზრისით სარკმლები ერთი ტიპისაა. სარკმელთა უმრავლესობა ამჟამად ორალათიანია და ზევით შეკრულია მართკუთხა „ფრამუგით“. ამჟამად სარკმლები სხვადასხვა სტრუქტურის ალათებით არის შეკრული. II და III სართულების სარკმელთა მცირე ნაწილის ალათები შეცვლილია ლითონპლასტმასის ახალი ჩარჩოებით. თავდაპირველად მათ მართკუთხა უჯრედებად დაყოფილ, დაწვრილებულ ალათებიანი სახე უნდა ჰქონოდათ.



III სართულის აივანი

ყველა სარკმელი მარტივად ნაშვერ თაროს ეფუძნება. განსხვავებულია თაროების ქვედა საფასადე სიბრტყეები. III სართულის სარკმელთა ქვეშ სადა ნალესი მართკუთხედებია, ხოლო II სართულის რაფების ქვეშ ნალესი მართკუთხედები და ზოგან ნალესი რიკულებიც არის დატანილი.

სართულებს შორის სარკმლის საყრდენს ქვემოთ პირდაპირ პროფილირებული ლავგარდანია. რთული სოფიტური ლავგარდანი კი დასრულებულია ბალუსტრადულ ჩანართებიანი მაღალი პარაპეტით.

იგივე არქიტექტურული ესთეტიკისაა, თუმცა ოდნავ განსხვავებულია საფასადე გაფორმება თაბუკაშვილის ქუჩიდან. აქ მორთულობა გართულებულია კედლის თაღედებითა და ნახევარწრიული, დორიული კანელურებიანი სვეტებით.

აივნების სახე – III სართულის საფასადე კიდული აივნები ქვის ესთეტიკისაა, სხმული რიკულებით.

სამშენებლო მასალები, კონსტრუქციები და დაზიანებები

კონსტრუქცია – აგურის წყობის საყრდენი გარე პერიმეტრული კედლები 90სმ. სიგანისაა. სართულშუა და სხვენის გადახურვა ხისაა. სადარბაზო უჯრედის კიბე კი მოწყობილია ლითონის ჩანებზე დალაგებული საფეხურებით. ნაგებობის გადახურავის კონსტრუქციაა ხის ნივნივებზე გაწყობილი ლარტყების სისტემა, დასრულებული თუნუქის ორქანობიანი საბურავით. ახალი კიბეა მოწყობილი ლითონის ჩანებზე მარჯვენა ფლანგზე თაბუკაშვილის ქუჩისკენ. ასევე ახალი კიბის უჯრედია სობჩაკის ქუჩის მხრიდან თაღოვან სარკმლებიან II სართულზე ასასვლელად.

სტრუქტურა და მასალა – მთავარი შენობის საყრდენი კედლების ძირითადი სამშენებლო მასალა „ქართული აგურია“. მოკლე ფასადი კი „რუსული აგურისაა“. დუღაბად გამოყენებულია კირი და ცემენტი. გვიანდელ დაშენებასა და დანამატებებში გამოყენებულია ახალი აგური და „ბლოკის“ კვადრები. ფასადები და ინტერიერი შელესილია. ხის მასალაა გამოყენებული თარაზულ ღიობთა ზედანებისა და მოჩარჩოებისთვის. ასევე სართულშუა გადახურვის და სხვენის ნივნივებისათვის. სახურავის საბურველი თუნუქისაა. ეზოს უკანა ფლიგელში გამოყენებულია ორთავე „ქართული“ და „რუსული“ აგური.

დაზიანებები და შეკეთება – რემონტებისა და გადაკეთებების შედეგად ინტერიერში ბევრი რამ შეცვლილია. მზიდი კედლები ვიზუალურად მდგრადია. ამავე დროს არის დაზიანებებიც, რაც ძირითადად გამოწვეულია შენობის ინტერიერის სხვადასხვა დროს არასწორი გადაგეგმარების და ტიხრების არასისტემური ცვლილებება-გადაკეთების გამო. მოშლილია კედლის ღუმელები, რაც თავისთავად წარმოადგენდა კონსტრუქციულ საყრდენებს. დაბზარულია და ალაგ-ალაგ ჩამოცვენილია შენობის საფასადო შელესილობა და ბალუსტრადა. დაზიანებული და ბევრგან მთლიანად ჩამოცვენილია ინტერიერის ჭერის და კედლების შელესილობაც. დაზიანებულია კიბის უჯრედის საფეხურები.

მზიდი კედლები – I სართულის 90-100სმ. II სართულის 75სმ. III სართულის 50სმ. I და II აყვანილია აგურის მკვიდრი წყობით. III-ზე გამოყენებულია ბლოკი;

კედლების სტრუქტურა – ძირითადად „ქართული“ აგურის, ფლიგელში კი „რუსული“ აგურის მკვიდრი წყობაც, კირის და ცემენტის ხსნარზე;

სართულშუა გადახურვა – სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე უნდა იყოს მოწყობილი. ორსართულიანი ფლიგელის I სართული ორტესებური კოჭებით არის გადახურული (თუმცა გადახურვის თავდაპირველი სახის ზუსტად დსადგენად საჭიროა ზონდაჟების მოწყობა და გვიანდელი დამატებების მოხსნა იატაკებსა და ჭერზე). ბეტონის გადახურვებია გვიანდელ ჩაშენებებზე.

სახურავი – ხის ნივნივებზეა მოწყობილია თუნუქის ორქანობიანი საბურველი.

სადარბაზო და კიბე – მთავარი სადარბაზო და კიბის უჯრედი მოწყობილია სობჩაკის ქუჩის მხრიდან ნაგებობის მარცხენა ფლანგზე. კიბე ადიოდა II სართულზე. შემდეგ დაემატა III სართული. კიბე ახალია. კიბის ორი უჯრედია მოწყობილი ეზოს მხრიდან ფლიგელების ფლანგებზეც.

მხატვრული სახე – ნაგებობის მხატვრულ სახეს განაპირობებს რამდენიმე კომპონენტი:

– წინასწარ გათვლილი საფასადო კომპოზიცია და გეგმარება;

– რელიეფს მორგებული მოცულობითი სტრუქტურა;

– ნალესი კვეთილობებიანი საფასადო მორთულობა;

ეს არქიტექტურული ფორმები ერთმანეთთან კარგად არის მორგებული და შეთანხმებული.

ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ:

საარქივო ფოტოები – შემორჩენილია XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის რამდენიმე პანორამული ფოტო, სადაც აღბეჭდილია ეს უბანი და ორთსართულიანი ნაგებობები დღევანდელი საპროექტო სახლის ადგილას. ასევე XX ს-ის დასაწყისის ფოტოები უკვე აგებული სახლებით. საქართველოს ცენტრალური ფოტო-ფონო-კინო არქივის ფონდები: ფოტო, №799-8, №799-15; თბილისის სახელმწიფო მუზეუმის არქივის ფონდი;
ძველი თბილისის გეგმები – თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის („ქარვასლა”) საარქივო ფონდები: თბილისის გეგმები 1867წ. 1898წ. 1902წ. 1903წ. 1913წ. 1924წ;
თბილისის არქიტექტურული ძეგლების გეგმა –
თბილისის სამისამართო რუკა –
აეროფოტო –

ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ:

კულტურულ-ისტორიული – №3/3. ეს ნაგებობა XX ს-ის I ნახევარში რეკონსტრუირებული ძველი თბილისის სტრუქტურაა XIX-XX სს-ის მიჯნისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული დეტალებით. სახლი ორგანულად არის ჩაწერილი თბილისის ამ უბნის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში და მორგებულია ადგილმდებარეობას.

№3, ეზოში მდგომი ნაგებობები ისტორიულად წარმოადგენდა სახაზინო პალატის და შემდეგ სამხედრო კომენდატურის ფუნქციურ ნაწილს.

მხატვრულ-არქიტექტურული – №3/3 ნაგებობა საინტერესო გეგმარებითა და მხატვრულად კარგად გააზრებული ეკლექტიკური სტილის ელემენტებიანი ფასადით ხასიათდება; სახლის პროპორციები, ადგილობრივი და ევროპული ტრადიციების შერწყმა, გეგმის თავისებურება აძლიერებენ მის მნიშვნელობას და სახლი ქუჩის განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურული სახის განმსაზღვრელი ხდება.

№3, ეზოში მდგომი ნაგებობები რიგითი ხასიათისაა. ამ ნაგებობებში ასახული იყო თავისი დროის არქიტექტურული და სამშენებლო ხელოვნების ელემენტები, თუმცა ეს ნაგებობები მხატვრულ არქიტექტურულად არ არის მაღალი ღირებულების და არ წარმოადგენენ არქიტექტურული კომპლექსის სტრუქტურულ სახეს.

სტატუსი – №3/3 არქიტექტურული ძეგლი. №3 (ეზოში) უსტატუსო ნაგებობები.

დასკვნა და რეკომენდაციები

ამგვარად, XIX ს-ის შუა ხანებში ორი ქუჩის კუთხეზე მოქცეულ კვარტალში იდგა რამდენიმე მცირე ზომის ნაგებობა. XIX ს-ის II ნახევარში (1885 წლამდე) სობჩაკის ქუჩაზე გამომავალ მცირე ნაგებობის ნაცვლად აშენდა ორსართულიანი მოზრდილი შენობა ფასადებით როგორც სობჩაკის, ასევე თაბუკაშვილის ქუჩის მხრიდან. კიდევ ორი ორსართულიანი ნაგებობა აშენდა ეზოშიც. XX ს-ის II მეოთხედში ძირითად ნაგებობაზე დაშენდა III სართული და მთლიანად გადაკეთდა მისი ფასადები „სტალინური არქიტექტურის“ ესთეტიკით. მოგვიანებით კი III სართული დაშენდა ეზოში მდგომ L-ის ფორმის გეგმარების ნაგებობაზეც. ამ შენობების გეგმარება ძირითადად შენარჩუნებულია, თუმცა მრავალრიცხოვანი რემონტებისა და ტიხრების ჩამატება-მოხსნის გამო ნაგებობების ინტერიერში თავდაპირველი მხატვრულ-არქიტექტურული სახიდან თითქმის არაფერია შემორჩენილი. ნაწილობრივ შეცვლილია მათი საფასადო მხარეც.

ამ შენობებში განთავსებული იყო სახაზინო პალატა და საგუბერნიო ხაზინა. XX ს-ის შუა ხანებში შენობის მარჯვენა ნაწილში გაიხსნა თბილისის სამხედრო კომენდატურა. ამ დროიდან ნაგებობებს ცალ-ცალკე ნომრები მიენიჭა. მარცხენა ფლანგს №3/3, მარჯვენას №1/3, ეზოში მდგომ ნაგებობებს №3. ამიტომ 2007 წელს თბილისის ნაგებობებისათვის არქიტექტურული ძეგლის სტატუსის მინიჭების დროს აქ დარეგისტრირდა ორი ძეგლი და ძეგლების სიაში დანომრილია:
– მარცხენა მონაკვეთი №714 თაბუკაშვილის /რეზო/ ქუჩა 3 / სობჩაკის ქუჩა 3;
– მარჯვენა მონაკვეთი №1216 სობჩაკის /ანატოლი/ ქუჩა 1 / თაბუკაშვილის ქუჩა 3.
შესაბამისად გაკეთდა ორი სააღრიცხვო ბარათი №010306299 და №010306387. პირველზე გამოსახულია სახლის ფასადი სობჩაკის ქუჩიდან, ხოლო მეორეზე ფასადი თაბუკაშვილის ქუჩიდან. რეალურად კი ეს ერთი და იგივე სახლია. ამჟამად ძირითადი ნაგებობა დარეგისტრირებულია მისამართით სობჩაკის ქუჩა №3/3. აქ რამდენიმე სხვადასხვა ზომის, სტილის და სხვადასხვა დროს აგებული სახლი არსებობს. ეს ვითარება აღბეჭდილია 1920-იანი წლების აეროფოტოზე.



აეროფოტო, 1920-იანი წწ



ძეგლების გეგმა, 2007წ.

ამრიგად, ჩვენ დავადგინეთ საპროექტო ობიექტების და მათ ირგვლივ არსებული ნაგებობების განვითარება, მათი მხატვრულ არქიტექტურული ღირებულება და ახლა უნდა განვსაზღვროთ თუ რა ცვლილების შესაძლებლობა არსებობს.

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/
ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010306299



1. სახელწოდება - სამხედრო პროკურატურა
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, თაბუკაშვილი რეზოს ქუჩა 3 / სობჩაკი ანატოლის ქუჩა 3
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-20 საუკუნის დასაწყისი

ძეგლის ბარათი, 2007წ

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/
ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010306387



1. სახელწოდება - სამხედრო კომენდატურა
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, სობჩაკი ანატოლის ქუჩა 1 / თაბუკაშვილი რეზოს ქუჩა 3
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-20 საუკუნის დასაწყისი

ძეგლის ბარათი, 2007წ

ამგვარად, ამ მისამართზე – სობჩაკის ქ №3 / თაბუკაშვილის ქ. №3 ჩამოყალიბდა რამდენიმე ნაგებობა რომელთაგან მხოლოდ ერთი წარმოადგენს არქიტექტურულ ძეგლს, კერძოდ, სობჩაკისა და თაბუკაშვილის ქუჩების კუთხეში აგებული მართკუთხა გეგმარების სამსართულიანი საუწყებო სახლი. დანარჩენი ნაგებობები უსტატუსოა. ამასთან საპროექტო ობიექტები, ძირითადი და უკან მდგომი, ცალკე არსებული ნაგებობებია, ისინი გვერდითი ფასადით გამოდიან თაბუკაშვილის ქუჩაზე, აქვთ ამ მხრიდან ცალკე შესასვლელი და მათი ცალკე დამისამართება თაბუკაშვილის ქუჩიდან შესაძლებლად მიგვაჩნია.

ასევე, შეიძლება ითქვას, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მდგომი უსტატუსო ნაგებობები არ გამოირჩევა მაღალი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით და შესაძლებლად მიგვაჩნია მათი რეკონსტრუქცია და დაშენება ან მათ ნაცვლად ახალი მოცულობის აგება იმ პირობით, რომ ყურადღება მიექცევა იმ ფასეულობათა დაცვას, რაც ახასიათებს ამ მიკროუბანს.

ხოლო რაც შეეხება არქიტექტურულ ძეგლს, აქ მხოლოდ დაშენება თუ იქნება შესაძლებელი მისი საფასადო არქიტექტურული სახის შენარჩუნებით.

ფასადის მხატვრულ სახეს განსაზღვრავს ეკლექტიკური სტილიზებული სტრუქტურა და ფსევდოკლასიცისტური კვეთილი სახეები (სარკმელთა მოჩარჩოება, საჭექი ქვები). სტილიზებული სტრუქტურები და მორთულობის ელემენტები სიმეტრიულად არის განაწილებული და ფასადებს ანაწევრებს, როგორც თარაზულად, ასევე შვეულადაც. სადარბაზოს შესასვლელი და კიბე კი მთლიანად ახალია.

ნაგებობის თავდაპირველი მოცულობისათვის სახასიათო იყო სართულების ზრდა სიმაღლეში აღმავალი პრინციპით. საკმაოდ მაღალი პირველი სართული ცოკოლის გარეშე იდგა. კიდევ უფრო მაღალი მეორე სართული კი მონუმენტურობას მატებდა შენობას. მესამე სართულის დაშენებისას გათვალისწინებული იქნა ეს პროპორცია და მისთვის იგივე სიმაღლე შეირჩა. ამით ნაგებობამ ახალი სტრუქტურული სახე შეიძინა, რაც უფრო გააქტიურდა მაღალი პარაპეტის დამატებით.

განაშენიანების ხასიათი

გეოგრაფიულმა და ისტორიულმა ფაქტორებმა აქ განაპირობა მოწესრიგებულ ქუჩათა ქსელი და რეგულარული განაშენიანება. აქ თბილისის ძველი უბნების მსგავსად არ მოხდა დაპირისპირება და არ შევიდა ერთმანეთთან კონფლიქტში ძველი და ახალი ურბანული განაშენიანება. აქ ნაგებობები ცარიელ ადგილზე შენდებოდა. **XIXს-ის საშუალო მასშტაბის არქიტექტურა თანდათან შეცვალა XX ს-ის დასაწყისის და შუა პერიოდის უფრო მოზრდილმა მასშტაბმა და ეს ცვლილება განხორციელდა უმტკივნეულოდ, ამ ადგილის ზოგადი ურბანული სახის დაურღვევლად.**

აქ, ერთმანეთის გვერდიგვერდაა ორი მეტ-ნაკლებად განსხვავებული არქიტექტურული ესთეტიკა – XIX-XX სს-ის მიჯნის და XX ს-ის შუა პერიოდისა. ეს ორი პერიოდი ერთმანეთს ეპასუხება და თანამედროვეობის ელემენტების შემოსვლის მიუხედავად არ ირღვევა ზოგადი არქიტექტურული ესთეტიკა, რომლის ძირითად არქიტექტურულ მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს XIX-XX სს-ის მიჯნის ფსევდოკლასიცისტურ - ფსევდორენესანსული და XX ს-ის შუა ხანების თბილისისთვის ჩვეული კლასიცისტური და ქართული ეროვნული მოტივებით შეჯერებული მონუმენტური ქალაქთმშენებლობითი სტილი.

რეკომენდაციები

აქ მნიშვნელოვანია, თუ რა მხატვრული ღირებულების მქონე ახალი მოცულობა გაჩნდება და ასევე აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მშენებლობის მაღალი ხარისხი, **რადგან საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ ბევრი ნაგებობა არქიტექტურული ძეგლია, ამიტომ სავარაუდო ახალმშენებლობაც ანალოგიური არქიტექტურული ხარისხის უნდა იყოს.**

ამ გარემოებათა გათვალისწინებით ალბათ საყოველთაო აზრი უნდა იყოს, რომ აქ ახალმშენებლობა ძალზე საპასუხისმგებლო საქმეა და აუცილებლად უნდა განხორციელდეს არქიტექტურული შერჩევის საფუძველზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქნება ის საბაზისო კრიტერიუმები რითიც იხელმძღვანელებენ პროექტანტები და რაც დაეხმარებათ მათ ამ რთული ამოცანის გადაწყვეტისას. მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული არსებული ქუჩის და ნაგებობების თავისებურებანი, რათა არ დაიკარგოს, ისტორიული პროცესით შექმნილი, ამ ურბანული სტრუქტურის სახასიათო მხატვრული ღირებულებები და განაშენიანების მშვიდი, დაწყნარებული რიტმი.

ერთის მხრივ, ალბათ არაშემოქმედებითი მიდგომა უნდა იყოს აქ არსებული არქიტექტურული რეპერტუარის მექანიკური გამეორება, რასაც ხშირ შემთხვევაში ბუტაფორიულობამდე მივყავართ, მაგრამ ამავე დროს ზედმეტად თამამმა ახალმა ფორმებმა შესაძლოა დაარღვიონ ქუჩის დინჯი და გაწონასწორებული არქიტექტურული რიტმი.

ამიტომ ვფიქრობთ, რომ წარსული გამოცდილების გათვალისწინებით აქ უპრიანი იქნება ისეთი მოცულობის და მხატვრული იერის მქონე ნაგებობის დაპროექტება, რომელშიც ასახული იქნება დღევანდელი ეპოქის მხატვრულ-არქიტექტურული სახე, მაგრამ არ იქნება ამოვარდნილი ისტორიული განაშენიანების ზოგადი არქიტექტურული კონტექსტიდან.

ჩვენი აზრით რეკონსტრუქცია შესაძლოა მოხდეს რამდენიმე ვარიანტით:

არქიტექტურულ ძეგლზე:

აქ შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ დაშენება ატიკის ან სამანსარდე სართულით. აუცილებლად შესანარჩუნებელია საფასადე სტრუქტურა და საჭიროა მისი მოწესრიგება. ინტერიერში, რადგან თავდაპირველი მხატვრული სახეებიდან ცოტა რამაა შემორჩენილი, შესაძლებელია გადაგეგმარება ახალი ფუნქციური საჭიროების შესაბამისად. არ უნდა გაჩნდეს ახალი ღიობები ფასადისკენ.

დანარჩენ ნაგებობებზე:

ერთ შემთხვევაში, მთელ პერიმეტრზე შესაძლებელია მოეწყოს დაშენება;

მეორე შემთხვევაში, შესაძლებელია შენობების დაშლა და მათ ნაცვლად ახალი ნაგებობის აგება. ამ დროს აუცილებელი იქნება ახალი მოცულობის ხელახლა გააზრება. ასევე არქეოლოგიური ზედამხედველობა მიწის სამუშაოების დროს;

აქ უნდა განხორციელდეს ისეთი მოცულობის დამატება, რომელსაც არსებულის ადექვატური მხატვრულ-ესთეტიკური მახასიათებლები ექნება, ვიზუალურად ზედმეტად აქტიურ ლაქად არ წარმოჩინდება და უმტკივნეულოდ ჩაეწერება უბნის ისტორიულ განაშენიანებაში;

აღსანიშნავია, რომ ნაგებობები ნაკვეთზე გადანაწილებულია და არ აღიქმება ერთიან სოლიდურ მასად. ამგვარი გეგმარება დამახასიათებელია თბილისის ისტორიული განაშენიანების ქსოვილისათვის. ამიტომ, ეს გარემოება სასურველია გათვალისწინებული იყოს ახალი მოცულობების დაგეგმარებისას.

- შესაძლებელია, ვიზუალურად ნაკლებად აქტიური, ახალი გამომსახველობითი ფორმების ძიებაც, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურბანულ მახასიათებლებთან კონტექსტში;

- თუმცა ახალი მოცულობის ფასადების მხატვრული სახე, რიტმული დანაწევრება და ფერადოვნება არ უნდა არღვევდეს უბნის ამ მონაკვეთის ჩამოყალიბებულ ხასიათსა და მხატვრულ მთლიანობას;

- გათვალისწინებული უნდა იქნეს და არ უნდა დაირღვეს უბნის ერთიანი მასშტაბი და რაც მთავარია ორთავე შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ შენარჩუნებული იყოს სართულების, სიმაღლის და ღიობების ფორმების პროპორცია;

- ვინაიდან სახურავები ჩართულია უბნის ზედხედში, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ახალი გადახურვა უმტკივნეულოდ ჩაეწეროს აქ უკვე არსებულ გადახურვათა სისტემებში. ანუ ახალმა სტრუქტურამ არ უნდა გამოიწვიოს გადახურვათა სისტემის არსებული ხედის მხატვრული სახის მკვეთრი ცვლილება. ამიტომ გასათვალისწინებელია გადახურვის სისტემის სახის თავსებადობა არსებულთან და მას სასურველია ჰქონდეს ქანობებიანი სახე;

- სასურველია განახლებული სახის ესკიზური პროექტის ფოტოილუსტრირება სახვადასხვა რაკურსით და გვერდითი ნაგებობების ჩვენებით, როგორც ქუჩის ასევე ეზოს მხრიდან და ზედხედიდან.

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი
10. 08. 2014წ.

დანართი







საპროექტო ტერიტორია

ეს განშლები შედგენილია J.M.T. ჯგუფის დაკვეთით